კვირიას უცნაური ლაპარაკი

მოსწავლეებს გაუვარჯიშდებათ ცალკეული ბგერების გადაბმისა და მათგან სიტყვის აგების უნარი.

კლასი: I

მუშაობის ფორმა: მთელი კლასი

რესურსი: სურათიანი ბარათები

მსვლელობა

- მასწავლებელი მოსწავლეებს დასხამს წრედ და უამბობს პატარა გამოგონილ ამბავს: *ცხოვრობდა ერთი ჯადოქარი, რომელსაც კვირია ერქვა. მას ადამიანებისთვის სიტყვების ჩუქება უყვარდა. კვირია ძალიან უცნაურად ლაპარაკობდა. ის ცალკეულ ბგერებს წარმოთქვამდა. მაგალითად, თუ უნდოდა, რომ ბავშვისთვის სიტყვა „ბურთი“ ეჩუქებინა, ასე ეუბნებოდა: „ბ - უ - რ - თ - ი“. სანამ ბავშვი ვერ მიხვდებოდა, რა სიტყვა უთხრა, სიტყვას არ აძლევდა. თუ ბავშვი გამოიცნობდა, კვირია გახარებული ჩუქნიდა სიტყვას.*
  ახლა მე გავითამაშებ, ვითომ კვირია ვარ. ერთ-ერთ თქვენგანს ვეტყვი სიტყვას ბგერა-ბგერა, თქვენ კი უნდა გამოიცნოთ, რა სიტყვას „გაჩუქებთ“.
- მასწავლებელი შეარჩევს ერთ-ერთ ბავშვს და ეუბნება „საჩუქარ“ სიტყვას ბგერა-ბგერა. როცა ბავშვი გამოიცნობს, შეაქებს და სხვა ბავშვთან გადაინაცვლებს. თითო ჯერზე (დღეში) შესაძლებელია აქტივობაში ჩაერთოს ოთხი-ხუთი მოსწავლე, რომ პროცესი დროში არ გაიწელოს და მოსაწყენი არ გახდეს ბავშვებისათვის.

შენიშვნა: სასურველია აქტივობის დაწყება მოკლე, სამ- ან ოთხბგერიანი სიტყვებით (მაგ., „ბალი“, „ყველი“, „ქადა“, „ბურთი“ და ა.შ.).

შესაძლებელია პერსონაჟებისა და მათი საუბრის მანერის ცვლა. მაგალითად: ოჩოპინტრე (რომელიც მხოლოდ მარცვლებად დანაწევრებულ სიტყვებს წარმოთქვამს: შო-კო-ლა-დი); ჯუჯიკა (რომელიც არეულად წარმოთქვამს მარცვლებს: კო-ლა-დი-შო) და სხვ.

ვარიაციები

1. მასწავლებელი ყველა ბავშვს ურიგებს ერთ, ორ ან სამ ცალ „საიდუმლო“ სურათიან ბარათს, რომლებსაც მოსწავლეები მხოლოდ თვითონ ნახულობენ. თითოეულმა ბავშვმა ბგერა-ბგერა უნდა დაშალოს ბარათზე გამოსახული სიტყვა და უთხრას კლასს. დანარჩენმა მოსწავლეებმა უნდა გამოიცნონ, რა სიტყვა „აჩუქა“ კვირიამ მოსწავლეს.
ამ შემთხვევაში მოსწავლეები პირიქით ასრულებენ მოქმედებას: მათ მოუწევთ ნახატზე გამოსახული საგნის სახელის, ანუ მთლიანი სიტყვის ბგერებად დაშლა.

2. წერა-კითხვის ფაზაზე გადასვლისას შეიძლება ამ აქტივობის კიდევ რამდენიმე ვარიაციის შეტანა საკლასო ოთახში: ა) უკუღმა ამოტრიალებული ბარათი, რომელზეც დაწერილია სიტყვა. ბავშვმა უნდა ამოიკითხოს, რა სიტყვა წერია ბარათზე; ბ) ბარათი, რომელზეც სიტყვა შებრუნებულადაა დაწერილი (მაგ., ი ლ შ ა ვ). მოსწავლემ უნდა გამოიცნოს, რა სიტყვა წერია ბარათზე.